ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი

ბ რ ძ ა ნ ე ბ ა №163

ქ. ბათუმი, 16 თებერვალი 2017 წ

„ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ივლისის №626 ბრძანების ძალადაკარგულად გამოცხადების შესახებ

სრულიად საქართველოს კათოლიკოს-პატრიარქის მდივანმა (დეკანოზი მიქაელ ბოტკოველი) 2017 წლის 30 იანვრის №129 (№3625/25, 03.02.16წ) წერილით მომართა ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიას, რომელშიც აღნიშნა, რომ „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართმადიდებელ ეკლესიას შორის“ 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის თანახმად, საქართველოს სახელმწიფო, საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალური მართლამადიდებელი ეკლესიის საკუთრებად ცნობს საქართველოს მთელ ტერიტორიაზე არსებულ მართლმადიდებლურ ტაძრებს, მონასტრებს (მოქმედს და არამოქმედს), მათ ნანგრევებს, აგრეთვე მიწის ნაკვეთებს, რომლებზეც ისინია განლაგებული და ითხოვა ქ. ბათუმში, ქათამაძის ქუჩაზე მდებარე 1122,00 კვ.მ. არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.30.17.053), რომელზეც განთავსებულია წმინდა დავით აღმაშენებლის სახელობის ეკლესია, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის საკუთრების გაუქმება.

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, საქართველოს ორგანული კანონის „ადგილობრივი თვითმმართველობის კოდექსი“-ს, საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 61-ე მუხლის და „საქართველოს სახელმწიფოსა და საქართველოს სამოციქულო ავტოკეფალურ მართლმადიდებელ ეკლესიას შორის“ 2002 წლის 14 ოქტომბერს გაფორმებული კონსტიტუციური შეთანხმების მე-7 მუხლის პირველი პუნქტის შესაბამისად,

ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ:

1. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში მდებარე არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთის ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლებით აღრიცხვის შესახებ“ ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის 2016 წლის 15 ივლისის №626 ბრძანება.

2. ეთხოვოს საქართველოს იუსტიციის სამინისტროს საჯარო რეესტრის ეროვნული სააგენტოს აჭარის რეგიონალურ ოფისს (გ. დუმბაძე), გააუქმოს საჯარო რეესტრში სსიპ თვითმმართველი ქალაქ ბათუმის მუნიციპალიტეტის (ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის) სახელზე საკუთრების უფლებით რეგისტრირებულ ქ. ბათუმში, ქათამაძის ქუჩაზე მდებარე 1122,00 კვ.მ. არასასოფლო-

სამეურნეო დანიშნულების მიწის ნაკვეთზე (ს/კ 05.30.17.053) საკუთრების უფლების თაობაზე არსებული ჩანაწერები.

3. წინამდებარე ბრძანებით გათვალისწინებული უძრავი ქონების საჯარო რეესტრში ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის სახელზე საკუთრების უფლების გაუქმების მიზნით, ქ.ბათუმის მუნიციპალიტეტის მერის სახელით შესაბამის დოკუმენტაციაზე ხელმოწერის უფლებამოსილება მიენიჭოს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო-ეკონომიკური სამსახურის ქონების მართვისა და განკარგვის განყოფილების მთავარ სპეციალისტს ხათუნა კობალაძეს (პირადი ნომერი 61001010495).

4. წინამდებარე ბრძანება გამოქვეყნდეს ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე.

5. ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს ბათუმის საქალაქო სასამართლოში (მის: ქ.ბათუმი, ზუბალაშვილის ქ. №30) მისი ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერიის ინტერნეტგვერდზე გამოქვეყნებიდან ერთი თვის ვადაში.

6. ბრძანება ძალაშია ხელმოწერისთანავე.

გიორგი ერმაკოვი

ქ. ბათუმის მუნიციპალიტეტის მერი